პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 196 (19637) ◆ ოთხშაბათი, 27 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საკავშირო გამოცემა

№ 6 ტრესტის № 1 მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივის მიერ აშენებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, ბოსტნეულსაცავები ჩინებულ შეფასებას იმსახურებს.

სამშენებლო მოედნებზე ფართოდ არის გაშლილი მობილიზაციათა სოციალისტური შეჯიბრება მუშური ესტაფეტის პრინციპით. აქ შექმნილი საკოორდინაციო საბჭოები მართავენ და აკონტროლებენ მშენებელთა მუშაობას.

ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისა და სამშენებლო წარმოებაში მიღწეული კარგი მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კოლონის კოლექტივი საუკეთესო სამშენებლო ორგანიზაციათა შორის დაასახელეს.

სურათებზე: მოწინავე შემდუღებელ-მემონტაჟე მურსად ალიევი (მარჯვნივ) და ნიაზალი საფაროვი 1,5-ჯერ ასრულებენ ცვლის დავალებებს; მიმდინარეობს კარტოფილსაცავის მშენებლობა მარნეულის რაიონის გამარჯვების სახელობის მეურნეობაში.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შრომის სტიმულები

ყოველი საქმის დამწყები და დამაგვირგვინებელიც ადამიანია. ამ ძველ ჭეშმარიტებას ყავლი როდი გასვლია. პირიქით, მას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დღეს — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებლობის პირობებში, რადგან საზოგადოების ყველა სფეროში უფრო სწრაფად წინსვლისა და ახალი მიჯნების მიღწევის გადამწყვეტი ფაქტორია თითოეული მშრომელი, მისი დამოკიდებულება დაკისრებული საქმისადმი. დაჩქარების მიღწევა და დასახული გეგმების რეალიზაციაც საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია თითოეული ადამიანის დაძაბულ და ეფექტიან შრომაზე.

ეფექტიანად კი შრომობენ იქ, სადაც საამისოდ კარგი პირობებია, სადაც მშრომელი ადამიანის მოთხოვნილება და ინტერესები საწარმოს ეკონომიკური წინსვლის და მთლიანად საზოგადოებრივი პროგრესის სოციალურ ორიენტირად დაუსახავთ.

დღესდღეობით სწორედ მუყაითად და შეგნებულად მომუშავე ადამიანებს შესწევთ უნარი თავიანთ სამოქმედო უბანზე გამონახონ და გამოიყენონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების რეზერვები. ამიტომ არის, რომ უკანასკნელ წლებში, როცა მეტი გასაქანი მიეცა ეკონომიკურ მუშაობას და გამდიდრდა მისი შინაარსი, პარტია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს იმას, რომ თითოეული მუშაკი უკლებლივ ყოველ სამუშაო ადგილას ავლენდეს საქმისადმი დაინტერესებულ, ინიციატიიან, შემოქმედებითს დამოკიდებულებას.

დაინტერესება და ენთუზიაზმი კი უმეტესად იმ კოლექტივში ჩანს თავს, სადაც ადამიანები საერთო საქმეს უფრო უშუალოდ და ხელშესახებად აღიქვამენ სათავეთო სამუშაოდ, სადაც გულმოდგინე კარჯი უპირატესობას იძლევა გამომუშავების მხრივ.

მუშაობის ამგვარი პირობების შესაქმნელად ბოლო ხანებში ბევრი რამ იღონეს აბაშის, ყვარლის, ყაზბეგის, კასპის, სკგარეულის და სხვა რაიონებში.

კასპის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ხორციელდება ღონისძიებები, რომელთა წყალობით უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს შრომა და მისი ანაზღაურება. ეს კი ხელს უწყობს ხარჯსაბაზედგო მექანიზმის შემუშავებასა და ამოქმედებას, რაც დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკაში. აქ მატერიალური და მორალური სტიმულირება ისეთნაირად არის მოფიქრებული, რომ თითოეულის შემოსავალს დონე, მათ შორის შეჯიბრებაში მიღებული პრემიის ოდენობაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგებზე. გამანაწილებელი მექანიზმის გაუმჯობესებისაგან, უმრომელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობისაგან, ყოველივე ამისაგან, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ ნორმებსა და ზნეობრივ კრიტერიუმებს, კასპის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას ის მისეა, რომ აქაურ კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა ანაზღაურებას გაუსწრო 58 პროცენტით. საქმე ის არის, რომ რაიონის იმ მეურნეობებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიწათმოქმედებმა და მეცხოველეებმა წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი ხელფასი მიიღეს.

ამ გარემოებამ რაიონის აგრომრეწვაში განამტკიცა აზრი, რომ საწარმოო სიმძლავრეების, შრომითი და მატერიალური რესურსების რაც შეიძლება რაციონალური გამოყენების შემოქმედებითი ძიება ზემოქმედებას ახდენს საერთო, კოლექტიურ და პირად შემოსავალზე, და პირიქით — დანაკარგები ან საწარმოო პროცესის ნებისმიერ უბანზე რეზერვის გამოუყენებლობა გაკეთებას ახდენს არა მარტო საერთო შემოსავალის შემცირებაზე, არამედ იმ ნაწილზეც, რომელიც გათვალისწინებულია მოხმარებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ხელფასის ფონდისათვის.

შრომის ანაზღაურების პრესტიჟის ამაღლებისათვის ყველგან ახე როდი ზრუნავენ. რესპუბლიკის ბევრ მეურნეობაში ფული მოიკიდა ნასალისების უამრავმა ფონდმა, რის გამოც ხელფასის სტრუქტურაში ნასუკატი შეადგენს სხვადასხვა დანამატი და პრემია. ზოგან მუშაკს ახალისებენ უბრალო ტექნოლოგიის ელემენტარული მოთხოვნების შესრულებისათვის. იეიუფებენ იმას, რომ გამოშუშავების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა ირიცხებოდეს კონკრეტული საწარმოო დავალების დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის.

რედაქციაში მოდის ცნობები იმის თაობაზე, რომ ბევრგან ხელფასის მატებამ მნიშვნელოვნად გაუსწრო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, რაც შეუწყნარებელია. ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, მთელი ხალხის კეთილდღეობაზე.

საერთო შემოსავლიდან მოხმარებისათვის ხასხრების გამოყოფის დროს წინდახედულობასა და ყაირათიანობას ვერ იჩენენ თელავისა და სიღნაღის რაიონების საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მარშან შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი ანაზღაურების ტემპს შესაბამისად 52-39 პროცენტით ჩამორჩა. ეს იმას მოწმობს, რომ ამ მეურნეობებში ხელოვნურად ამცირებენ გამომუშავების ნორმებს და არღვევენ შრომის ანაზღაურების წესებს, აქ ნაკლებად აღელვებთ ის, თუ რა დაუჯდებათ თითოეული ცენტნერი ჭირნახული, ხორცი, რძე... ეს კი ხარალით მუშაობის თავადი მიზეზია და, თავის მხრივ, საწარმო შეიძლება იქცეს მიიყვანოს, რომ მას საშუალება არ ექნება საწარმოო დანახარჯები საკუთარი სახსრებით დაფაროს.

შრომის მიხედვით ანაზღაურება და დოვლათის განაწილება ყველაზე სამართლიანი საქმეა ჩვენს ქვეყანაში და მისგან გადახრები არავის ეპატიება, რადგან იგი უარყოფით მორალურ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ეს კი განსაკუთრებით საზიანოა ახლა, დემოკრატიზაციის განვითარების, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების პირობებში, როცა ხალხს წარმოების მართვაში მონაწილეობის მეტი სურვილი გაუჩნდა, რაც თითოეულს უადგილებს თავის სამუშაო ადგილზე გაიაზროს, თუ როგორ გამოიყენოს უკეთ პირადი შესაძლებლობანი დავალებათა წარმატებული რეალიზაციისათვის.

ადამიანის ფაქტორს, მის გააქტიურებას საგანგებო ყურადღება მიექცა სკკპ XXVII ყრილობაზე, რომლის ტრიბუნიდანაც ითქვა, რომ დაჩქარების მიღწევა ნიშნავს ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირო ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესება და შრომის ეფექტიანობა, შეასამ ადამიანისათვის ყოველმხრივი ზრუნვა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების თანაშემდევრული განხორციელება.

ყრილობის ამ მოთხოვნას, შრომის სტიმულირების ორგანიზაციაში სიახლის არსს ჯერ კიდევ ბევრ მეურნეობაში ვერ ჩასწვდნენ, სასალხო დოვლათის გამრავლებისათვის შრომითი კოლექტივების დაინტერესების მიზნით ანაზღაურებას საბოლოო შედეგს არ უფარდებენ. ასე იქცევიან სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის კოლმეურნეობაში, სადაც საშუალოდ ერთმა კოლმეურნეზე წელიწადში 537 მანეთის პროდუქცია აწარმოეა, რისთვისაც 1068 მანეთი მიიღო. ამგვარი ხელგაშლილი ანაზღაურება იმის ერთ-ერთი არსებითი მიზეზია, რომ აქ ცენტნერი თაბაშვის წარმოება საგეგმო 584 მანეთის ნაცვლად 790 მანეთი დაჯდა.

არანაკლებ საზიანოა იმის სარისპირო პრაქტიკაც, ანუ ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანები კეთილსინდისიერი გარჯით აშკარად უკეთეს შედეგებს აღწევენ და ამისათვის არ იღებენ არავითარ საგრძნობ გასამრჯელოს. ამის ბევრ საშუალოზე გული უცრუდება, ენთუზიაზმი უცხრება, სახელმწიფოს კი დანაკარგი მოსდის. სარეფაქციო ფოსტაში არის წერილები, რომელთა ავტორები გულისწყრომას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათი ხელმძღვანელები შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გულუხვობენ, ხოლო როცა საქმე კანონიერ წასალისებაზე მიდგება, დანაპირებს აღარ ასრულებენ.

ეს ეწინააღმდეგება შრომის ანაზღაურებაში სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს თვითდაფინანსების პრინციპის დამკვიდრებას, სამეურნეოანგარიშიანი, იჯარული კოლექტივების გამრავლებას, რომელთა რეალური ხელფასია მთლიან შემოსავალსა და გასავალს შორის განსხვავება.

არადა, ამ ეკონომიკური ბერკეტის მომარჯვება უპირანია წლევანდელი საჭირნახულო ლაშქრობის ამყანინდელ არაჩვეულებრივად სუსტი ეკონომიკურ ბერიოდში, როცა დასახული მიჯნების მიღწევა უაღრესად ხერიოზულ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთელი მეცადინეობა იმას უნდა მოხმარდეს, რომ შრომის სტიმულების უნარიანი გამოყენებით აგრომრეწვის მუშაკები დარაზმონ ეფექტიანი შრომისათვის, მოწეული ჭირნახულის შენარჩუნებისა და სანიმედოდ დაბინავებისათვის. ამ კრიტერიუმით უნდა შეჯამდეს შეჯიბრებაში მიღწეული პრაქტიკული შედეგები და გამარჯვება მიენიჭოს მას, ვინც უფრთხილდება და აშრალებს ხალხის დოვლათს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სოხუმის ხვალინდელი დღე

განუწყვეტლივ შენდება და მშვენდება აფხაზეთის დედაქალაქი, კოორტ-ქალაქი სოხუმი. უკანასკნელი წლების მანძილზე აქ მწყობრში ჩადგა სამრეწველო, საცხოვრებელი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი ობიექტები. ამაში განმსაზღვრელი როლი შეასრულა იმ დადგენილებათა განხორციელებამ, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მისი ცალკეული ქალაქებისა და რაიონების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ამასთანავე უკანასკნელ ხანს სულ უფრო საგრძნობი ხდება ობიექტური ფაქტორი — მატერიალური წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარებას შორის. განსაკუთრებით ჩამორჩა საქალაქო მეურნეობა. ქალაქში იგრძნობა სერიოზული სიძნელენი სასმელი წყლით, სითბოთი, ელექტროენერგიით, ტრანსპორტით, სატელეფონო კავშირგაბმულობით მოსახლეობის უზრუნველყოფაში, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა კეთილმოწყობას. გადასასნჯია კომუნალური სამსახურებისა და ქვეგანაყოფების ორგანიზაციული სტრუქტურა.

იმის გამო, რომ საჭიროა გადაწყდეს სოხუმის წინაშე მდგომი პრობლემები, უზრუნველყოფილ იქნეს ქალაქის ჰარმონიული განვითარება, განმტკიცდეს საქალაქო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სოხუმის საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტს, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, აფხაზეთის დედაქალაქის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს მართები წარმართონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რათა ყოველნაირად განავითარონ შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივა, მიაღწიონ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას, დაძლიონ საქალაქო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში დაშვებული ჩამორჩენა, შეუქმნან შრომისა და ყოფაცხოვრების სათანადო პირობები ქალაქის მოსახლეობას, დამსვენებლებსა და ტურისტებს. ამავე დროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებით კაპიტალური დაბანდების გამოყოფა სოხუმის საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის.

მაგალითად, მიმდინარე ხუთწლედში დასახულია დაროექტდეს და დაიწყოს წყალსადენის მშენებლობა მდინარე კოდორის ბაზაზე, გაფართოვდეს და რეკონსტრუირებულ იქნეს კელასურის წყალსადენი, აიგოს რამდენიმე რაიონული საქვაბე, აშენდეს კომფორტული სასტუმრო 500 კაცისათვის, განხორციელდეს არსებული ტროლეიბუსის ხაზის რეკონსტრუქცია და დაროექტდეს სოხუმ-აეროპორტის ტროლეიბუსის ტრასა, კაპიტალურად გარემონტდეს წყალსაკანალიზაციო მეურნეობა, თბომომარაგების ქსელები და ობიექტები, აშენდეს ერთი კომუნალური და ორი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლი ქალაქის საბინაო-კომუნალური სამსახურების მუშაკთათვის.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ, სოხუმის საქალაქო აღმასკომმა უნდა უზრუნველყონ სამინისტროებისა და უწყებების, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების წილობრივი მონაწილეობა საქალაქო მეურნეობის, კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე და კეთილმოწყობაში.

საქართველოს სსრ სახმშენს დავალება აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად განხილოს და მიმდინარე წლის დამლევამდე წარმოუდგინოს საქართველოს მთავრობას სოხუმის გენერალური გეგმის პროექტი, უზრუნველყოს სამინისტროებისა და უწყებების, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების წილობრივი მონაწილეობა საქალაქო მეურნეობის, კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე და კეთილმოწყობაში.

საქართველოს სსრ სახმშენს დავალება აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად განიხილოს და მიმდინარე წლის დამლევამდე მიაღწიონ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა მისი მასობრიობა, მოწინავე გამოცდილების გამეორებისა და განვითარების შესაძლებლობა, საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი უნარის პრაქტიკული რეალიზაციაა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“. საქმიანად მოამზადონ შრომითი მეტოქეობა, უფრო მეტად განავითარონ დამკვრელობისა და სტახანოვური მოძრაობის ტრადიციები, გამოიჩინონ შემოქმედება, ინიციატივა და ნოვატორობა — ასეთი ამოცანა დგას დღეს მშრომელთა წინაშე. — რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში გაშლილი შეჯიბრების ფორმების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, მისი მიზნები სავსებით კონკრეტულია, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარაბელიამ. — ეს არის უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდება, ნაწარმის მასალა და ენერგოტევადობის შემცირება, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა.

ახლა მოწინავე კოლექტივების მოწოდებით — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულონ ხუთწლედის ორი წლის გეგმა, ჩაღდება ბრძოლა გეგმის გადაჭარბებით შრომის ნაყოფიერების სულ ცოტა 1 პროცენტით გადიდებისათვის, ფართოვდება მოძრაობა დევიზით „ყოველ საუმუშაო საათს — უმაღლესი უკუგება“.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ მშრომელებმა წამოაყენეს კარგი ინიციატივა „პირველი წარდგენისთანავე და მხოლოდ უმაღლესი ხარისხით ჩაბარონ მთელი პროდუქცია“. ყურადღებას და ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს აგრეთვე ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკთა კურსი — მასალების დაზოგვის, ყველა სახეობის რესურსების რაციონალური გამოყენების რეზერვების ძიებაში ბრიგადების, სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების როლის გაძლიერებისათვის. აქ შეადგინეს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომელმაც კოლექტივის ყურადღება მიაპყრო ნაწარმის მასალატევადობის შემცირებისა და ფურცლოვანი ფოლადის გამოჭრის ოპტიმიზაციის აუცილებლობას.

შეჯიბრების დევიზი:

უფრო მეტი, უფრო უკეთ, უფრო იაფად!

ჩვენ ყოველმხრივ ვუუჭერთ მხარს საწარმოო გაერთიანება „ჰიათურმანგანუმის“ მაღაროელთა მუშაობის საფუძვლად ქცეულ პრინციპს, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „ისწავლე კარგად მუშაობა — დაიხმარე ამხანაგს!“ სწორედ ეს არის მრავალი სამეურნეო წარმატების საიდუმლო, რომლებიც დამატებითი მატერიალური ხარჯების გაუწევლად მიიღწევა. გაერთიანებაში მოწინავეები მიდიან ჩამორჩენილებთან, რათა გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, უმოკლეს ვადებში დააწინაურონ ისინი ავანგარდში. ჩვენ მხარი დავუჭირეთ ტორის შემდგომ აღმავლობას, დაძლიონ საქალაქო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში დაშვებული ჩამორჩენა, შეუქმნან შრომისა და ყოფაცხოვრების სათანადო პირობები ქალაქის მოსახლეობას, დამსვენებლებსა და ტურისტებს. ამავე დროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებით კაპიტალური დაბანდების გამოყოფა სოხუმის საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის.

მაგალითად, მიმდინარე ხუთწლედში დასახულია დაროექტდეს და დაიწყოს წყალსადენის მშენებლობა მდინარე კოდორის ბაზაზე, გაფართოვდეს და რეკონსტრუირებულ იქნეს კელასურის წყალსადენი, აიგოს რამდენიმე რაიონული საქვაბე, აშენდეს კომფორტული სასტუმრო 500 კაცისათვის, განხორციელდეს არსებული ტროლეიბუსის ხაზის რეკონსტრუქცია და დაროექტდეს სოხუმ-აეროპორტის ტროლეიბუსის ტრასა, კაპიტალურად გარემონტდეს წყალსაკანალიზაციო მეურნეობა, თბომომარაგების ქსელები და ობიექტები, აშენდეს ერთი კომუნალური და ორი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლი ქალაქის საბინაო-კომუნალური სამსახურების მუშაკთათვის.

ყოველმხრივ იზრდება შეჯიბრებაში მორალური ფაქტორის როლიც. უმჯობესდება მისი საჯაროობა შედეგების შეჯამება.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ახალი სასწავლო წლიდან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის შესაბამის განყოფილებებზე, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე შემოღებული იქნება სოციალისტური შეჯიბრების საფუძველების შემსწავლელი აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, რუსთავის მანქანასაშენებელი ქარხნების მუშაკთა მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკთა კურსი — ეს ბევრ საქმეს ნიშნავს, ყველა სახეობის რესურსების, რაციონალური გამოყენების, ეფექტურობის ამაღლებას, ეს ბევრ ადამიანს ეხმარება, ეს ბევრ ადამიანს ეხმარება, ეს ბევრ ადამიანს ეხმარება

გულითადი მადლობა, მეგობრებო!

ძვირფასო რედაქციავ, არ შეგეძლია არ გამოთქვათ ჩვენი გულისნადები და არ მოგწეროთ გულითადი მადლობა იმ კაცთმოყვარული და ძმური მიღებისა და მასპინძლობისათვის, რომელიც უკრაინელ მეგობრებს გაუწიეს საქართველოში. ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შემდეგ ბევრმა უკრაინელმა საქართველოს მოაშურა, უმრავლესობა პატარა ბავშვებით ჩამოვიდა მოძმე რესპუბლიკაში და ახლა უკვე თამამად ვამბობთ, რომ არ შემედგარან არჩევანში, რადგან საქართველოში მათ ყველა პირობა შეუქმნეს.

მე მეუღლით, რძლითა და სამი შვილიშვილით საქართველოში ჩამოვედი. მთელი თვის განმავლობაში ჩვენ, თუ შეიძლება ითქვას, შეგვიკედლეს ინტინერო-პოლკოვნიკმა ნოდარ ივანეს ძე კაპანაძემ და მისმა მეუღლემ, 37-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა ელენე ვალენტინის ასულმა; მათთან ჩვენ შემოხვევით როდი მოვსულიდით. კაპანაძეთა დიდ ოჯახთან დამაკავშირა ფრონტულმა მეგობრობამ, რომელიც ჩემსა და მათი ბიძის გვარდიის ლეიტენანტის გიორგი კაპანაძეს შორის იშვა. იგი 18 წლის იყო, ფრონტზე რომ წავიდა და 1944 წელს დაიღუპა უნგრეთში. ამის თაობაზე 1975 წელს 9 თებერვლის ნომერში წერდა თქვენი გაზეთი.

გიორგის შთამომავლებმა სამი ოთახიდან ორი ჩვენ დაგვითმეს, სინამდვილეში მთელი ბინა ჩვენს განკარგულებაში იყო. ხომ ცნობილია, რამდენი საზრუნავი ჰქვს მრავალრიცხოვან ოჯახს, ხოლო იქ, სადაც ჩვილი ბავშვია, საზრუნავი ორმაგდება. ცოლქმარმა კაპანაძეებმა თვითონ იკისრეს ბევრი საქმე და ამით გაგვიიოლეს დაბინავებადგან ნორმალურ ცხოვრებას. ლენინის რაისაბჭოს აღმასკომმა ჩვენ გამოგვიყო კვების, განსაკუთრებით კი ბავშვთა კვებისათვის აუცილებელი სურსათის ტალონები.

ჩვენდამი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინა ბევრმა ადამიანმა — ეს იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალებში თუ თბილისის უნივერსიტეტში, განსაკუთრებით კი მისმა რექტორმა ნ. ამაღლობელმა და სხვებმა.

კიევიდან ჩემი გამომგზავრების გამო შემიფერხდა წიგნ „ლიტერატურულ თეორიაზე“ მუშაობა. უნივერსიტეტში საშუალება მომეცა წიგნის თეორიის მიხედვით წამეკითხა ლექცია. განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მოგვცა შეღავათიანი საგზურები ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზაში დასასვენებლად, სადაც ჩვენს გარდა კიევიდან ჩამოსული კიდევ რამდენიმე ოჯახი ისვენებდა; ბაზის თანამშრომლებმა უდიდესი სიყვარულის გარემოცვაში მოგვაქციეს. ჩვენდამი გულითადი ზრუნვის ორგანიზატორი კი თვით ბაზის დირექტორი, გულღია ადამიანი ბადრი მიქაბერიძე იყო. მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ იქ ჩვენთვის, განსაკუთრებით ჩვილი ბავშვისათვის, შეექმნათ დასვენებისა და მკურნალობის საუკეთესო პირობები, შემძლებოდა განმეგრძო სამეცნიერო მუშაობა, აგრეთვე უფრო დიდი ხნით დაგვეტოვებინა ბორჯომის შესანიშნავ ხეობაში.

ნება გვიბოძეთ „კომუნისტის“ საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც საქართველოში დაგვხვდა, დაგვეხმარა და იზრუნა ჩვენი კეთილდღეობისათვის.

ა. ილიჩევსკი,
კიევის უნივერსიტეტის პროფესორი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ფინალიტები

„დევის ხვრელის“ საიდუმლოება უნდა გაიხსნას

ზესტაფონის რაიონის სოფელ ... ...

ფაქტები • მოვლენები ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა გადაკეთებულ ოთხ უშრომელ შემოსავალს

აქტივის კრებამ მოითხოვა

აფხაზეთის პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა მიხედვით უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ორგანიზაციული, სამართლებრივი, ეკონომიკური და აღმზრდელობითი ღონისძიებების კომპლექსურ მიზანსწრაფულ პროგრამას წარმოადგენს, ავტონომიური რესპუბლიკის პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მხურვალე მოწონება და ყოველმხრივი მხარდაჭერა პოვეს.

ამას წინათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გამართულ ღია პარტიულ კრებებზე, ქალაქებისა და რაიონების პარტიული აქტივის კრებებზე, რომლებშიც 85 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა და 12 ათასამდე კომუნისტი და უპარტიო გამოვდა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებები შეესაბამება მშრომელთა, მათ შორის აფხაზეთის მრავალეროვნული ავტონომიური რესპუბლიკის "შრომელთა სამართლიან მოთხოვნებს. აფხაზეთში ცოტა როდია ისეთი ფაქტი, როდესაც ცალკეული პირები იღებენ უშრომელ შემოსავალს, ეწევიან უკანონო საქმიანობას, პირადი გამდიდრების მიზნით იყენებენ სახელმწიფო მანქანებსა და მრწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, კაპიტალურ ნაგებობებს, სათბობს, ნედლეულსა და მასალებს. ცალკეულ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში გამოვლენილია სახალხო დოვლათის მსხვილი დატაცებანი, წამატებები და თვალისაბვეევა, არ არის აღმოფხვრილი მექრთამეობისა და გამოძალვის ფაქტები.

ავტონომიურ რესპუბლიკაში,— აღინიშნა კრებაზე, — უშრომელი შემოსავლის წყაროს ხშირად ხდება მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის წესების დარღვევა, საცხოვრებელი ფართობის გაქირავება, ჩაწერა, ბინების შეცვლა.

პარტიული აქტივის კრებამ პარტიის სოოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მოსთხოვა უფრო გადამწყვეტი და გადაუდებელი ღონისძიებები განახორციელონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების ძალისხმევის კოორდინაციისათვის ცხოვრების ყველა სფეროში საბჭოთა კანონების უცილობელი დაცვის, სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ხარჯზე უკანონოდ გამდიდრების ყოველგვარი არხისა და საშუალების საბოლოო გადაკეთის მიზნით. პარტიულმა კომიტეტებმა თანამიმდევრულად და შეუპოვრად უნდა გაატარონ ცხოვრებაში ყოველივე დასახული, ფართოდ გამაერთან აფხაზეთის მშრომელთა შორის ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, აწარმოონ იგი აქტიურად და უკომპრომისოდ, მიაღწიონ იმას, რომ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა თითოეული კომუნისტის, მოქალაქისა და მშრომელის ღირსების საქმე გახდეს.

აფხაზეთის სსრ პარტიული აქტივის კრებამ მიღებულ რეზოლუციაში მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ყველა მშრომელი ყველფერს იღონებენ, რათა უცილობლად ხორციელდებოდეს სოციალიზმის ძირითადი პრინციპი: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სკუბარი ათეისტურ თემაზე

ეკლესიის ეზოში აუარება ხალხს მოეყარა თავი. ხეცები დიდი ექსტაზით წრიალდნენ. მარჯვენა მხარეს ქალთა გრძელი რიგი იდგა, ხელთ ბავშვები ეპყრათ, რომლებსაც ხეცები რიგრიგობით ნათლავდნენ.

ეკლესიის ეზოში რიგრიგობით შემოდიოდნენ ღვინის ტიკებით, ჩასუქებული ქედლებითა და სურსათ-სანოვაგით სავსე ურმები...

ასე იყო აღწერილი ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაული — „ტცხეთობა“ სამეცნიერო-მეთოდიკურ და მხატვრულ ჟურნალ „მებრძოლ ათეისტში“. რეკოლუციამდელ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის როგორც საყოველთაო, ისე ადგილობრივი, ანუ სატრაპეზო დღესასწაულები ფართო მასშტაბით ეწყობოდა.

ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. საქართველო მასობრივი ათეიზმის რესპუბლიკა გახდა. თუმცა მისი მოსახლეობის მარადიული მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილი მაინც მონაწილეობს ზოგიერთ რელიგიურ დღესასწაულში და რელიგიურ წეს-ჩვეულებებსაც იცავს.

რა ფუნქციებს ასრულებენ რელიგიური დღესასწაულები რელიგიურ სისტემაში, როგორ წარმოიშვნენ ისინი და რანაირი უნდა იყოს დღეს მათდამი დამოკიდებულება?

სხვადასხვა რელიგიამ საერთოდ და, კერძოდ, ქრისტიანობამ საუკუნეთა მანძილზე ადამიანებზე ზემოქმედების რთული სისტემა შეიმუშავა. ამას ემსახურება როგორც ღვთისმსახურების ბევრი მომენტი, ისე კულტის შესრულების მრავალი ტრადიციაც. მათგან ერთ-ერთია რელიგიური დღესასწაულები.

ღვთის მსახურნი ყოველნაირად ცდილობდნენ და ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები, რომ საკიროა ღმერთის გულის მოგება, მისთვის შვების თხოვნა, მასთან „ახლოს ყოფნა“. მხოლოდ მაშინ იქნებიან თურმე ღმერთები მათ მიმართ გულისმხილნი. კულტის მსახურთა მტკიცებით, ის ადამიანები, რომლებიც სისტემატურად მიიღებენ მონაწილეობას რელიგიურ დღესასწაულებში და შეასრულებენ სათანადო წეს-ჩვეულებებს, სამოთხეში მოხვდებიან, ურწმუნონი კი ჯოჯოხეთის განსჯას უნდა ელოდნენ.

ქრისტიანობამ, გადასინჯა რა წარმართული დღესასწაულების არსენალი, ჩამოაყალიბა რელიგიური რიტუალების დაკანონებული რიგი, რომელთა უმრავლესობა ეესო ქრისტეს სახელთან არის დაკავშირებული. ამასთანავე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმა რელიგიურ დღესასწაულთა სისტემაში შეიტანეს მრავალი ადგილობრივი, ეგრეთ წოდებული სახალხო და, რაც მთავარია, ქრისტიანობამდე არსებული, ხალხს ყოფაში მტკიცედ დამკვიდრებული დღესასწაული. ეს იმიტომ გახდა საჭირო, რომ, რაკი ქრისტიანობამ საქართველოში ვერ გადასძალა ხალხური დღესასწაულები, მეორე მხრივ აირჩია — გაარელიგიოზა, ქრისტიანული ელფერი მიანიჭა მათ. ეს კი რელიგიის გაგლენის ქვეშ ადამიანთა მოქცევის საუკეთესო საშუალება გამოდგა...

მაგრამ ქრისტიანობის გარსში ბევრმა მათგანმა იმდენად იცვალა სახე, თუ შეიძლება ითქვას, იმდენი მავნე დანალექი მიიღო, რომ დაკარგა თავისი ეროვნული, ხალხური პირვანდელი დადებითი ღირებულება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ზოგიერთი სახალხო დღესასწაული შეერწყა ქრისტიანულ ზოგად დღესასწაულებს, მათი იდენტური ხასიათი გახდა. ასე, მაგალითად, გორისჯვრობა გიორგობას გაუთოლდა, თელეთობა — ქრისტეს ამაღლებას, ოქონობა — ღვთისმშობლობას, ღომისობა — სულისწმიდის მოფენას და ა. შ.

ამ ბოლო დრამდე რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში გამართულ რელიგიურ დღესასწაულებში, მაგალითად, მესტიაში (ცვირიკობა), დუშეთში (ღომისობა), ახმეტაში (ახალჯვრობა), გურჯაანში (ქვაშვეთობა), კასპში (ერთაწმინდობა) და ა. შ., მონაწილეობის მისაღებად იკრიბებოდა როგორც ადგილობრივი, ისე სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული საკმაოდ ბევრი ხალხი. სოფლებიდან ადგილები სავსე იყო ასობით საკუთარი და სახელმწიფო ავტომანქანით. უნდა ითქვას, რომ მსგავსი მოვლენები ახლაც ხდება. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის 25 ივნისს დუშეთის რაიონის სოფელ მლეთაში მოწყობილ „ღომისობის“ რელიგიურ დღესასწაულზე ხალხმრავლობა იყო. დაიკლა ასობით ცხენი და ძროხა. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმოფანტული იყო დაკლული ცხვრების თავები, მიგნეული, ტყავი. შეიქმნა საშიში ანტისანიტარიული ვითარება. შეისვა დიდძალი სპირტიანი სასმელი, მათ შორის შინნახადი არაყიც. საკმაოდ იყვნენ მთვრალები, რომლებიც არაფრად აგდებდნენ იქ მყოფ მილიციის მუშაკებს. თუმცა არც ეს უკანასკნელნი იჩენდნენ რაიმე განსაკუთრებულ აქტიურობას, არ ჩამოუთმეციათ ვინმესთვის შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელები, არც ერთი პირი არ დაუკავებიათ და დაუჯარიმებიათ ქუჩაში ლოთობისათვის. ასეთი რამ განსაკუთრებით მიუტევებელია ახლა, როდესაც მთელ ქვეყანაში ესოდენ უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ...

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც წესი, ეგრეთ წოდებული სახალხო რელიგიური დღესასწაულები ეწყობა სამუშაო დღეებში და ზოგჯერ რამდენიმე დღეს გრძელდება. უქმად იფლანგება თანხები, ირღვევა არსებული კანონმდებლობა, საწარმოები ზოგჯერ დაუფიქრებლად გამოყოფენ ავტოტრანსპორტს სამუშაო დღეებში ამ მიზნით მშრომელთა გადასაყვანად, ადგილი აქვს სისტემის სამართლის დანაშაულის შემთხვევებს. ასე მოხდა, კერძოდ, თიანეთის რაიონში მოწყობილ რელიგიურ დღესასწაულ „ლაშარობაზე“, სადაც გალეშილმა დ. პატურაშვილმა სხვა სოფელში დანით დაჭრა კაცი. სამწუხაროდ, ეს ფაქტი გამონაკლისი არ არის, სხვაგანაც ხდება ანალოგიური შემთხვევები.

ამიტომაც გადაჭრით უნდა ამოიძირკვოს მათი გამომწვევი მიზეზები. მაგრამ ყოველივე ძველის ხელაღებით უარყოფაც არ შეიძლება. მათ სანაცვლოდ შემოღებულ ახალ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში უნდა გამოიყენოთ ძველისათვის დამახასიათებელი ის დადებითი მომენტები, საუკუნეებს მანძილზე რომ შემოინახა და შეითვისა ხალხმა. ამ შემთხვევაში, ცხადია, მხედველობაში გვაქვს მისაღები, ძველში არსებული არარელიგიური, ხალხური ნიშან-თვისებები.

საქმისადმი სწორედ ამგვარ მიდგომას ითვალისწინებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის განხორციელებისათვის ამ ბოლო ათ წელზე შეტი ხნის მანძილზე გაწეულმა ნაყოფიერმა მრავალმხრივმა მუშაობამ ახალი, საბჭოური დღესასწაულებით მავნე წეს-ჩვეულებების წარმატებით შეცვლის მდიდარი გამოცდილება შეგვძინა. ამის ნათელი დადასტურებაა წლეულს მესტიის რაიონში რელიგიურ-საკულტო დღესასწაულის „კვირიკობის“ სპირისპიროდ გაწეული მუშაობის დადებითი შედეგები. გააზრებული დიფოლოგიური, ორგანიზატორული და ადმინისტრაციული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად შემცირდა მასში მონაწილე ადამიანთა რიცხვი.

საქმისადმი გონივრული, მოფიქრებული მიდგომის სასიკეთო შედეგი სხვაგანაც არის. სწორედ ამის წყალობით მოხერხდა შარშან ალაგერდობის დღესასწაულის გონივრულ ფორმებში მოწყობა. ელაიობის ადგილობრივ რელიგიურ-საკულტო დღესასწაულს მიაკავოსკის რაიონის მშრომელებმა დაპირისპირეს „მეცხვარის დღის“ სახალხო დღესასწაული და სასურველი შედეგიც მიიღეს...

დიახ, ძირეული სასიკეთო გარდაქმნები მართლაც არის. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. დასახვეწი, შინაარსით და ფორმით გასამდიდრებელია ზოგიერთი ახალი დღესასწაული, რათა მათ მეტი ემოციური ზეგავლენა მოახდინონ, მიიზიდონ ადამიანები. მხლოდ ღონისძიებისათვის გამართული ღონისძიება, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. საჭიროა სეფიროული, სისტემატური მუშაობა. მაგრამ, თუ გვსურს ვმართოთ პროცესები, უნდა ეფლობდეთ, საფუძვლიანად ვერკვეოდეთ მათში.

ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი სახალხო დღესასწაულების წარმოშობის, მათი გენეზისის, თანამედროვე მდგომარეობის მონოგრაფიული შესწავლა, სათანადო დასკვნების გამოტანა, პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება საშური და გადაუდებელი საქმეა. ამას კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ და კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი უნდა ჩაუდგეს სათავეში.

ადგლობრივი რელიგიური დღესასწაულების თანამედროვე საბჭოური რიტუალებით შეცვლა ერთობ მნიშვნელოვანი საქმეა, როდგან ეს პროცესი დიდად შეუწყობს ხელს მშრომელთა ერთი ნაწილის შეგნებაში შემორჩენილი რელიგიური შეხედულებების დაძლევას.

დ. გეგეშიძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ზ. ფორაქიშვილი,
პროფესორი.

ბელი ჯერ კიდევ ბევრია

გულითადი შეხვედრები

საქართველოში სამ დღეს იყო ჩვენს ქვეყანაში მყოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, იუსტიციის მინისტრი ჰ.-ი. ჰოზენინგერი. რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს სტუმრებს ახლდა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ბ. ვ. კრავცოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დელეგაცია შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ბ. ვ. ნიკოლსკის. მეორე დღეს გაიმართა შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ო. ე. ჩერქეზიასთან. საუბრების დროს, რომელმაც გულთბილი, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ლაპარაკი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს მშრომელთა წარმატებებზე, პლანეტაზე მშვიდობის დამკვიდრებაში მათს წვლილზე, ამოცანებზე, რომლებიც სამართალდაცვითი ორგანოების წინაშე დგას ეკონომიკური და სოციალური განვითარების, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების საქმეში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის დელეგაცია „ვაეცნო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს საქმისაწარმოებაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენების გამოცდილებას. გაიმართა აგრეთვე შეხვედრა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში, რომლის დროს შეეხნენ კანონპროექტებისა და სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მარეგულირებელი სხვა სანორმატივო აქტების მომზადებისა და მიღების პროცესების საკითხებს, კადრების შერჩევისა და განაწილების, სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციის პრობლემებს.

სტუმრებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მცხეთასა და გორში, შეხვდნენ რესპუბლიკის მუშებსა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

25 აგვისტოს დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში იგი გააცილეს ო. ე. ჩერქეზიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანჩაბაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ვ. მელქაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ ვ. გ. ბაქრაძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. ა. შუშანაშვილმა, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. გ. კარანაძემ. (**საქინფორმი**).

● აშშ

„მექს“ რაკეტის მორიგი გამოცდა

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატებში მოეწყო „მექს“ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის მორიგი გამოცდა. ასოშიეიტედ პრესის საააგენტო, რომელიც იმოწმებს პენტაგონის წარმომადგენელს, იუწყება, რომ რაკეტა, რომელიც აღჭურვილი იყო ინდივიდუალური დამიზნების ცხრა სასწავლო საბრძოლო ქობინით, გაუშვეს კალიფორნიის შტატის ვანდენბერგის ავიაბაზიდან წყნარ ოკეანეში მდებარე კვაჯალეინის ატოლის მიმართულებით. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ქობინები პირველად გაუშვეს ორი სხვადასხვა რაიონის მიმართულებით, რომლებიც ერთმანეთისაგან 112 კილომეტრით არის დაშორებული.

„მექს“ რაკეტის ახლანდელი, რიგით მე-13 გაშვებით პენტაგონმა დაიწყო ამ რაკეტის გამოცდის დამამთავრებელი სტადია. როგორც იუწყებიან, ამ ეტაპზე დაგეგმილია მოაწყონ გამოცდები და გამოიყენონ ფრენის უზრუნველყოფის სისტემები, რომლებიც „მთლიანად მზად არის“. ამავე დროს დაიწყო „მექს“ რაკეტების გენერგება ვაიომინგის შტატის უორენის ავიაბაზაში. ამა წლის დეკემბრისათვის, როგორც ამერიკის პრესა იუწყება, საბრძოლოდ იქნება გამზადებული ამ ტიპის ათი რაკეტა. 1987 საფინანსო წლისათვის თეთრმა სახლმა კონგრესს სთხოვა სახსრები კიდევ 21 რაკეტის შენებლობისათვის. სულ კი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას განზრახული აქვს განალაგოს პირველი ბირთვული დარტყმისათვის განკუთვნილი ამ სახეობის სტრატეგიული იარაღის 100 ერთეული.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ რაკეტების გამოცდა მოეწყო ასატის თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემის გამოცდის მეორე დღეს. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ კოსმოსური იარაღის შექმნასთან ერთად ვაშინგტონს განზრახული აქვს გამალებით განაგრძოს თავისი სტრატეგიული შეიარაღების ზრდაც.

ინგლისი განაგრძობს პრეტორიის მხარდაჭერას

ლონდონი. ბრიტანეთის მთავრობა, რომელიც სიტყვით მხარს უჭერს აპარტეიდის ლიკვიდაციას, საქმით მუდმივ საბოტაჟს უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ ეკონომიკური სანქციების შემოღების შესახებ. ასეთ დასკვნას შეიცავს ინგლისის აპარტეიდის წინააღმდეგ მოძრაობის აქ გამოქვეყნებული მოხსენება.

ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ თემთა პალატაში ახლახან გაკეთებულ მოხსენებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ვაჭრობა უნდა განისაზღვრებოდეს კომერციის ინტერესებით, და არა ჩვენი მთავრობის ხასიათით“, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკაში კვლავ დომინირებენ ლონდონის „ბარკლეიზისა“ და „სტანდარდ ჩარტედის“ ბანკები, „ბრიტიშ პეტროლეუმის“ და „შელის“ მონოპოლიები გზავნიან აპარტეიდის სახელმწიფოში იქ გამოყენებული ნავთობის დაახლოებით 40 პროცენტს.

ბრიტანეთის ფირმებმა, ხაზგასმულია დოკუმენტში, დახმარება გაუწიეს რასისტებს მძლავრი სამხედრო მრეწველობის შექმნაში, აქტიურად მონაწილეობენ სამხრეთ აფრიკის არმიის აღჭურვაში.

● ავღანეთი

გაანადგურეს ბანდა

ქაბული. როგორც ბახთარის საააგენტო იუწყება, ავღანეთის არმიის ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს კონტრრევოლუციონერთა მრავალრიცხოვანი ბანდა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ტერორს უწევდა ყანდაარის პროვინციის შახ-ვალიჯუდის მაზრის მოსახლეობას. განადგურებულია ათობით ბანდიტი, ხელთ იგდეს დასავლეთის წარმოების დიდძალი იარაღი, მათ შორის „დედამიწა — ჰაერის“ სარაკეტო დანადგარები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები და შაშხანები, აგრეთვე რამდენიმე პორტატული რადიოსადგური და საზღვარგარეთ დაბეჭდილი მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლები. ბრძოლების დროს ავღანეთის შეიარაღებული ძალების მეომრებმა მოსპეს დუშმანთა ოთხი საწყობი, სადაც ინახებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობის რაკეტები და საბრძოლო მასალა.

პრესა ადასტურებს

ამზადებენ ახალ აქციებს

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები მზად არის ახალი სამხედრო დარტყმა აგიმოს ლიბიას. ეს აცნობა ორშაბათს ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს რეიგანის ადმინისტრაციის „მალალი თანამდებობის პირმა“, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის გამხელა. მან დაადასტურა გაზეთ „უოლსტრიტ ჯორნელის“ ცნობა იმის თაობაზე, რომ ვაშინგტონი ამუშავებს „ლიბიის წინააღმდეგ საომარი, საიდუმლო და ეკონომიკური მოქმედების პროგრამებს“. თეთრი სახლის პრეს-მდივნის მოადგილემ ლერი სპიქსმა დემონსტრაციულად უარი თქვა გაექარწყლებინა გაზეთის ეს ცნობა. მან დაადასტურა, რომ „ამერიკის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი“ გაგზავნეს ახლახან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სამოგზაუროდ იმ მიზნით, რომ მას შეეპირებინა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეები ლიბიის წინააღმდეგ ახალი აქციების განხორციელებისათვის.

● ავღანეთი

„ტელეტაიპის ლენტიდან“

◆ **პარიზი.** საფრანგეთის დედაქალაქის ცენტრში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც მიეძღვნა ფაშისტ დამპყრობლებისგან ქალაქის განთავისუფლების 42 წლისთავს. მასში მონაწილეობდნენ საფრანგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მთავრობის წევრები, წინააღმდეგობის მონაწილეები.

◆ **ტოკიო.** სასეგბოში გაიხსნა ომისსაწინააღმდეგო გამოფენა, რომელიც დაამთხვიეს სამხრეთ-დასავლეთ იაპონიის ამ ნავსადგურში ბირთვული ფრთოსანი რაკეტებით შეიარაღებული ამერიკული სახაზო ხომალდის „ნიუ-ჯერსის“ ვიზიტს. ფოტოსურათები და გამოფენის სხვა მასალები ასახავენ საფრთხეს, რომელსაც უქადის იაპონიას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა.

◆ **ვაშინგტონი.** „თავისუფლება სამხრეთ აფრიკის დილეგებში მყოფ პოლიტიკურ პატიმრებს“, „შეწყდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხარდაჭერა“, ასეთი ლოზუნგებით მივიდნენ ორშაბათს ვაშინგტონში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საელჩოსთან აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო მარშის მონაწილეები.

◆ ლიბანი

ოკუპანტთა თავდასხმები

ბეირუთი. განვლილ დღე-ღამეში ისრელმა ოკუპანტებმა და მათმა დამქაშებმა — ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ ჯარისკაცებმა ცეცხლი დაუშინეს მოელ რიგ დასახლებულ პუნქტებს, მათ შორის სოფლებს ჰანდურიას, ჭანთარას, ჰამრას. ამ თავდასხმებში ჩონაწილეობდნენ ვერტმფრინავები, ტანკები და არტილერია. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დაჭრილები, მათ დიდი მატერიალური ზარალი მოუვიდათ. ინტერვენტებმა და მათმა დამქაშებმა მოაწყვეს ჩხრეკა-დაპატიმრება დაოპერაციები ადგილმდებარეობის გასაწმენდად ინ რაიონებში, რომლებიც ეკავრის ლიბანის ტერიტორიაზე ინტერვენტების მიერ უკანონოდ შექმნილ „უშიშროების ზონას“. სამხრეთ ლიბანიდან მიღებული ცნობებით, ისრაელის ჯარები თავდაცვით ნაგებობებს აშენებენ სოფელ მარქაბის რაიონში, სადაც გადაეყვანეს ტანკები და ნაღმსატყორცნები. განვლილი დღის მანძილზე ისრაელის ავიაციამ მრავალჯეროს მოახდინა დაზვერვითი ფრენა ლიბანის სხვადასხვა რაიონში, მათ შორის დედაქალაქის თავზე.

ლიბანის მოწინააღმდეგე მხარეების გამყოფ ზოლზე მთლიანად შეჩერდა ვითარება. ზოგიერთ ადგილებში მოქმედებენ სნაიპერები.

პარიზი. საფრანგეთის ავიამზიდმა „ფოშმა“ და თანხლების ხომალდების ჯგუფმა მიიღეს თავდაცვის მინისტრის ბრძანება ორდღიანი წვრთნა მოაწყონ ხმელთაშუა ზღვაში. სამხედრო სარდლობის ცნობის თანახმად, მანევრები გაიმართება საფრანგეთის ნაპირებთან, მაგრამ ადგილობრივი პრესა სამხედრო ძალის ამ დემონსტრაციას პირდაპირ უკავშირებს უკანასკნელ ამბებს სამხრეთ ლიბანში, სადაც გასულ კვირაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების საფრანგეთის კონტინგენტის ქვეგანაყოფებზე მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმები, რომელთა შედეგადაც დაიჭრა 15 ფრანგი სამხედრო მოსამსახურე.

ამას წინათ მძლავრმა აფეთქებამ შეაზანზარა ლიბანის დედაქალაქი. დინამიტით გატენილი ავტომანქანა აფეთქეს ბეირუთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე დორის რაიონის ხალხმრავალ ქუჩაზე. ამგვარი ტერორისტული აქტები, რომელთა მსხვერპლი ბოლო თვეში 400-მდე ლიბანელი გახდა, მოწმობს ლიბანის კრიზისის მოწესრიგების მტრების სახიფათო გაქტიურებას, რომლებსაც დანაშაულობებისათვის ეაქვეს ქვეყანაში მოქმედი ისრაელის აგენტურა.

სურათზე: აფეთქების ერთ-ერთი მსხვერპლი.

რეიტერ-საკადრის ფოტო.

ბერლინი

ფაქტი და კომენტარი

ფართოვდება ანტიარაბული ალიანსი

ისრაელი დაჟინებით ცდილობს დაიყოლიოს ამერიკის შეერთებული შტატები, რათა მას ნატოს წევრის სტატუსი მიენიჭოს. ახლო აღმოსავლეთში ვიეტ-პრეზიდენტ ჯ. ბუშის ამასწინანდელი ვიზიტის დროს ისრაელის პრემიერ-მინისტრი პერესი მოითხოვდა, რომ ისრაელს ხელი მიუწვდებოდეს უახლოეს ამერიკულ სამხედრო ტექნოლოგიასთან, გააქტიურდეს თანამშრომლობა საბრძოლო ტექნიკის შესაქმნელად, უზრუნველყონ განსაკუთრებული შეღავათები ამერიკის შეერთებული შტატებიდან შეიარაღების მიწოდებისას. პერესმა მოუწოდა ვაშინგტონს ისრაელი გაუთანაბრონ ამერიკის შეერთებული შტატების ევროპელი მოკავშირეები. სხვა რომ არაფერი, სწორედ შეერთებულმა შტატებმა შექმნა ისრაელის სამხედრო მანქანა და ძირითადი წვლილი შეიტანა მის მოდერნიზებაში. მარტო ბოლო ათ წელიწადში ამერიკის პირდაპირმა „ინექციებმა“ ისრაელში 30 მილიარდამდე დოლარი შეადგინა. ოკუპანის გაღმიდან მიღებული დოლარები იქცევა თვითმფრინავებად, ტანკებად, ბომბებად და ჭურვებად, რომლებსაც თელ-ავივი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურებისათვის იყენებს.

ამერიკა-ისრაელის სამხედრო კავშირურთიერთობის განვითარებას ახალი იმპულსი მიანიჭა თელ-ავივის ჩაბმამ ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაში, რომელმაც ისრაელს ამერიკული სამხედრო ტექნოლოგიის თითქმის ყველა საიდუმლო გაუხსნა. სწორედ „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამის ფარგლებში ისრაელის უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები ამას წინათ ჩართეს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ კომპიუტერულ ბანაკში, რაც მათ საშუალებას აძლევთ ისარგებლონ იქ არსებული მთელი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციით.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეერთებულმა შტატებმა 1986 წელს არ შეუმცირა ფინანსური ასიგნებანი. უფრო მეტიც, თელ-ავივმა მიიღო დამატებითი საგანგებო დახმარება 1,5 მილიარდი დოლარი, რომლის უდიდესი ნაწილი ისევ სამხედრო საჭიროებისათვის არის გათვალისწინებული.

ბუნება და სტიქია

ვულკანის აირის მსხვერპლნი

იაუნდე. კამერუნის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში ნიოსის ტბის სანაპიროს სულ ცოტა ორი ათასი მცხოვრები დაიღუპა ვულკანის შხამიანი აირით მოწამვლის შედეგად. ეს განაცხადა იაუნდეში ინფორმაციისა და კულტურის მინისტრმა ეორე ნგანგომ.

ტბის ფსკერიდან, სადაც უკანასკნელ ხანს გაცხოველებული სეისმური აქტიურობა შეიმჩნეოდა, ზედაპირზე ამოხეთქა აირის დიდმა ღრუბელმა, რომელიც ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებს მოედო. მინისტრის თქმით, მონაცემები უბედურების მსხვერპლთა შესახებ ჯერჯერობით მიახლოებითია, ვინაიდან მაშველმა რაზმებმა დაცვის საშუალებათა ნაკლებობის გამო ვერ გააღწიეს მოწამლული ზონის ცენტრამდე. კამერუნის პრეზიდენტმა პოლ ბიიამ, რომელიც ნიოსის რაიონში იყო, იგი სტიქიური უბედურების ზონად გამოაცხადა. ხელისუფალნი ჯარის ქვეგანაყოფების დახმარებით ხასწრაფოდ ხიზნავენ ადგილობრივ მოსახლეობას.

დღეს საბჭოთა კინემატოგრაფისტები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს აღნიშნავენ.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კინოს — ყველაზე უფრო მასობრივ ხელოვნებას. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნულ სტუდიებში ამ მნიშვნელოვანი იქმნებოდა და იქმნება შრავალი ფილმი, რომლებსაც ინტერესით ეცნობიან მსოფლიოს შრავალ ქვეყანაში.

ახლა, განსაკუთრებით გაიზარდა კინოს როლი იმ უდიდესი ამოცანების განხორციელების საქმეში, რომლებიც XXVII კონგრესმა დააყენა საბჭოთა ადამიანებს. საქმით და არა სიტყვით თითოეული ჩვენგანის გარდაქმნა ეშშმარიტი სიმართლით უნდა ითესოს საბჭოთა კინოოსტატების ნაწარმოებებში.

ეს ყოველივე ეხება ქართულ კინემატოგრაფსაც, რომლის ავტორიტეტი მართლაც განუზომელია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. რუსეთლიკის წინსვლა და აღშენებლობა, მისი გმირკე ადამიანების ყოფა-ცხოვრება უნდა იყოს უმთავრესი თემა ქართველი კინოოსტატებისა.

ვულოცავთ მათ დღეგანდელ ტრადიციულ დღესასწაულს.

განკი აუწონავი

სანამ ფილმი

დამთავრდება

კინოსტუდია „ქართული ფილმის" შემოქმედებითი გაერთიანების მთავარი რედაქტორის ირაკლი გოცირიძის თხოსნობით იქმნება ახალი ნაწარმოები — სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სვანეთის საგანძური", მასთან ჩვენი საუბარის თემა სწორედ მომავალი ფილმია.

— როგორც შევიტყვეთ, ეს სურათი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ საგანგებოდ გამოყოფილი ხასხრებით იქმნება, თანაც იქმნება „კოსტუდიო „ქართულ ფილმში", რომლის პროფილი მხატვრული ფილმების წარმოებაა. რა უდევს საფუძვლად ამ დოკუმენტური ფილმით ასეთი განსაკუთრებულ დანტერესებს?

— სურათი განსაზღვრულია არა მარტო საბჭოთა კავშირში საყოველთაო ჩვენებისათვის, არამედ — საზღვარგარეთაც, განსაკუთრებით — ფართო მეცნიერულ წრეებში. იგი ერთ მთავარ თემატურ საძირკველზე ავადეთ. ეს თემაა უძველესი დროიდან მომავალი ქართული ხელოვნება. რატომ მაინცდამაინც ხელოვნება? იმიტომ, რომ ერის რაობის უპირველესი გამომხატველი მისი კულტურაა. სვანეთი კი, უფრო ზუსტად — ზემო სვანეთი, ქართული კულტურის ეშშმარიტი განძთსაცავია, აქ შემონახულია ის, რაც საქართველოში სხვაგან აღარ არის, თანამედროვე მატერიალური კულტურის ეს მოღალადე ძეგლები ქართველი ხალხის ისტორიის საოცრად გრძელ პერიოდს მოიცავს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სვანეთისა და მისი საგანძურის კინოფირზე აღბეჭდვა საშუალებას მოგვცემს გავაცნოთ მსოფლიოს ხალხებს არა მარტო ჩვენი ულამაზესი ხელოვნება, რაც თავისთავადაც უაღრესად საინტერესოა, არამედ დავანახოთ ამ ხელოვნების ანუ ქართული შემოქმედებითი სულის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გენეტიკური უკვდავება.

გარდა ამისა, ფილმი სათანადო სამსახურს გაუწევს თვით მეცნიერებას, ყველაზე ნაკლებ, თუნდაც ამ ფაქტით, რომ კინოფირზე პირველად აღიბეჭდება ის, რაც აქამდე მხოლოდ წერილობით ან ფოტოგრაფიით იყო დაფიქსირებული...

— მაშასადამე, ფილმს მეცნიერული ასპექტიც იქნება?

— აუცილებლად! უამისოდ ეს იქნებოდა მხოლოდ „ლამაზი" ფილმი, რაც ჩვენი ინტერესების სფეროში კატეგორიულად არ შედის. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სცენარის თანაავტორად მოვიწვიე ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, ქალბატონი ოლგა ყენია, რომელიც სიამოვნებით დამთანხმდა თანამშრომლობას — სვანეთის ხელოვნება ხომ მისი მეცნიერული მრეწველობის მთავარი მაგისტრალია!... საერთოდ, სწორედ მეცნიერებას და პირველ ყოვლისა ქართველ მეცნიერებს უნდა ვუმადლოდეთ, „სვანეთის ფენომენმა" რომ ესოდენ სერიოზული ყურადღება მიიპყრო ჩვენს დროში თანამედროვე ეტაპზე. თუმცა მოგზაურები და მკვლევრები თავიდანვე გრძნობდნენ, რომ სვანეთში რაღაც იდუმალი „სიბრძნის ქვა" ინახებოდა, მაგრამ ამ საოცნებო მხარეში მათ ფეხი პირველად გასული საუკუნის 50-ან წლებში შედგეს. შედგეს და თვალთ არ დაუჯერეს: ჯერ რა არქიტექტურას წაადწყდნენ — თავისთავადაა და განსაცვიფრებელს! მერე, იქაურ ციცქნა ეკლესიებში და სვანთა ოჯახებში ისეთი ნაწარმოებები — უიშვიათესი ხატები, ჯვრები, ხელნაწერები, საერო დანიშნულების ისეთი ნაკეთობები — აღმოაჩინეს, რომლებიც სხვაგან არსად მოიპოვებოდა. ახლა, კედლის მოხატულობა! ხეზე კვეთილობა! მუსიკალური ფოლკლორი! ეთნოგრაფიული საბყარო!

— ტერმინი „სვანეთის საგანძური" ბევრი რაბის შემცველად გვეახება, ხომ არ დაგვიკონკრეტებდით, რა იქნება გადაღებული ფილმში?

— სვანეთის საგანძურის მთელი დიდებულება მისი მრავალფეროვნებაა, ენა, მუსიკალური ფოლკლორი, არქიტექტურა, ეთნოგრაფია, ხელოვნება, არქეოლოგიური ძეგლები, საკულტო და საერო დანიშნულების საგნები — ყველაფერ ამაში უდიდესი განძია წარმოდგენილი. ფილმში ყველა ამ სახის ნიმუშები იქნება, მაგრამ მთავარ „მაგისტრალად" დარჩება ხელოვნება, როგორც ერის შემოქმედებითი სულის უმაღლესი გამოვლინება. ოქრომჭედლობის უძველეს ნაწარმოებთა რაოდენობითა და მნიშვნელობით ზემო სვანეთს მსოფლიოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს ძირითადად სამი ჯგუფის ნაწარმოებებია: ადგილობრივ ოსტატთა ქმნილებები, ჩვენს მეფე-მთავართა მიერ სვანეთისათვის შეწირული ან ავბედობის ყამს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აქ ამოტანილი და სხვა ქვეყნიდან შემოტანილი. დიდი ადგილი დაეთმობა ფილმში ადრეთვე უნიკალურ ფერწერულ ნამუშევრებსა და კედლის მხატვრობას, რაც საქართველოში სხვაგან თითქმის აღარსად არის შემორჩენილი. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ჯადამდებ ჯგუფს სათანადო კონსულტაციებს ძალევენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები ვახტანგ ბერიძე, ალექსი რობაქიძე, მიხეილ ჩართოლანი, შოთა ჩართოლანი. ფილმის მთავარი კონსულტანტია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქალბატონი ნათელა ალადაშვილი. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ფილმის შექმნას დიდი ამაგი დასდო პირადად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ევგენი ხარაძემ.

თუ ჩვენ შეგძლებთ, რომ სვანეთში შემონახული უძველესი კულტურა ეკრანზე წარმოვადგინოთ არა განყენებულად, არა „მუზეუმურად", არამედ ვიჩვენოთ თანამედროვე ცხოვრებასთან შინაგან ჰარმონიაში — როგორც სინადვილეშია — მაშინ ჩვენი ფილმი დასახულ მიზნს მიაღწევს. თუ არა და...

— გადაღებულ მასალას რა პირი უჭირს?

— ჯერჯერობით, — კარგი. მუშაობა შრომატევადია: ზემო სვანეთში ბევრი სასოფლო საბჭოა, ყოველი მათგანი რამდენიმე სოფელს აერთიანებს, ყოველ სოფელში სულ ცოტა ერთი ეკლესიაა, ყოველ ეკლესიაში კი უამრავი განძეულია. ახლა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები! ახლა მოსახლეობაში შემონახული რელიკვიები!.. თუ საქართველოს სახკინოს ხელმძღვანელობამ ხელი გაგვიმართა, დაგეგმილია ავრეთვე ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმის გადაღება იტალიაში (ქ. პავია, სენტმბერი) და ქ. ყენევაში ჩასელა, სადაც, როგორც იცით, მესტიაში მოპარული ქართული ხატი იპოვეს და იქაურმა სასამართლომ იგი სამშობლოს დაუბრუნა.

— ფილმის რეჟისორი ვინ არის?

— ფილმს ორი რეჟისორი ჰყავს: ამირან დარსაველიძე და ნიკო წულაძე. პირველი სტაჟიანი რეჟისორია, წულაძეს კი ჯერ მხოლოდ ერთი ფილმი აქვს გადაღებული — დოკუმენტური სურათი. მას მხარში უდგანან ოპერატორი გურამ სამაგლიშვილი და უფაგადოდ საინტერესო მხატვარი პაატა კლდიაშვილი.

— როდის გამოვა ფილმი ეკრანებზე?

— გაისად, თუმცა ასეთი დიდი მოცულობისა და მნიშვნელობის ფილმს ნამდვილად მეტი დრო სჭირდება, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის მთავრობა დაფინანსებაში ხელს გვიწყობს. ფილმი სამ ენაზე განმოვანდება — ქართულად, რუსულად და ინგლისურად.

საუბარი ჩაიწერა

თ. ყაზბეგმა.

ვისი კინონაშრომია უკეთესი?

კინოკარიტაციისა და კინოთეორიის დარგში საუკეთესო ნაშუშევრებისათვის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის კონკურსმა გამოავლინა გამარჯვებულნი. ასეთი დათვალიერება ყოველწლიურად იმართება კინოხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის, ქართველ კინომცოდნეთა და კინოკრიტიკოსთა შემოქმედებითი აქტიურობის წახალისების მიზნით.

სპეციალური ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია მინიჭა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს, კინომცოდნე ტატა თვალჭრელიძეს სტატიისათვის „მიხეილ კალატოზოვის მხატვრული მეთოდის ზოგიერთი თავისებურებანი", რომელიც გამოქვეყნდა ალმანახ „კინოს" პირველ ნომერში.

მეორე პრემია ერგო ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს, კინომცოდნე ირინე ბეგიაშვილს სტატიისათვის „ქართული მულტიპლიკაცია: პრობლემები, ტენდენციები, ძიება... (ყურნალ „საბჭოთა ხელოვნების მეთოთე ნომერი) და „მუსიკისა და გამოსახულების თანამოქმედება ნახატი ფილმის სახეთა სტრუქტურაში „(თბილისის კონსერვატორიის შრომების კრებული). „დიდი სამამული ომის შესახებ საარქივო და საფონდო მასალების სისტემატიზაციისათვის წამახალისებელი პრემიით კონკურსის ჟიურომ აღნიშნა საქართველოს სახკინოს რედაქტორის ალექსანდრე გვენცაძის სტატია „ქართველი კინოდოკუმენტალისტები დიდ სამამულო ომში", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მეხუთე ნომერში. (საკინფორმი).

მალე აწკრიალდება სექტემბრის ზარი. სკოლის მერხებს შემოუსხდება ათასობით მოსწავლე. მანამ კი საჭიროა თადარიგის დაჭერა — სასკოლო ნივთების შეძენა. ტრადიციულად ყოველ წელიწადს ამართება სასკოლო ვაჭრობა, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ შეიძინონ მათთვის საჭირო ყველა ნივთი.

სურათზე: თბილისის 131-ე საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეს თეა მარგიევას უნივერმაგ „ბავშვთა სამყაროში" სასკოლო ფორმას ურჩევენ.

ს. კილაძის ფოტო.



მოსკოვი, 26 აგვისტო. (საქინფორმის სპეც. კორ.). მოსკოვის კულტურულ ცხოვრებაში მკაფიო და ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა შესანიშნავი ქართველი თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც 25 აგვისტოს გაიხსნა. ექსპოზიცია მოწყობილია აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

სუვოროვის ბულვარზე მდებარე მუზეუმის დარბაზებმა ვერ დაიტიეს ყველა მსურველი, რომლებსაც ფიროსმანის თვისთავადი ხელოვნების გაცნობა სწყუროდათ. აქ შეიკრიბნენ საზოგადოებრიობისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი.

—დღეს ვხსნით შესანიშნავი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენას, რომლის სახელიც ძვირფასია მშვენიერების ყველა მოყვარულისათვის, — თქვა ვერნისაჟზე გამოსულისას მუზეუმის დირექტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ნაბატჩიკოვმა. ამ ნიჭიერი ოსტატის ღრმად თავისთავადი შემოქმედება სამამულო კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მოვლენაა. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ექსპოზიცია კიდევ უფრო გააფართოებს მოსკოველთა და დედაქალაქის სტუმართა ნაცნობობას მოძმე ქართველი ხალხის მდიდარ კულტურულ ტრადიციებთან.

ორატორმა განაცხადა, რომ საქართველოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ექსპოზიციები უკვე ტრადიციული გახდა მუზეუმში. მაგალითად, შარშან დეკემბერში აქ ნაჩვენები იყო გამოფენა „ქართული ფრესკები". წარმოდგენილი იყო მოძმე რესპუბლიკის თანამედროვე მხატვართა ნამუშევრები.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსმა გ. პოპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ექსპოზიცია, რომელიც დღეს იხსნება, არის დედაქალაქის უკანასკნელი წლების კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ნ. პონომარიოვმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოფენას მომძე სოციალისტური კულტურების ურთიერთგავლენის გაძლიერებისათვის, და გამოთქვა რწმენა, რომ იგი ათიათასობით მოსკოველის ყურადღებას მიიპყრობს.

საქართველოს მშრომელთა სახელით შესანიშნავი მხატვრის ხსოვნისადმი ყურადღებისათვის, მის ნაწარმოებთა გამოფენის მოწყობისათვის გულითადი მადლობა გადაიხადა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა.

ექსპოზიცია, რომელიც მოსკოვშია გახსნილი, იაპონიიდან ჩამოვიდა. იქ სამ თვეს წარმატებით აჩვენებდნენ „ფიროსმანის ნახატებს ტოკიოსა და ოსაკაში.

ფიროსმანის სახელი დაკავშირებულია თბილისთან. სწორედ ქალაქში, სადაც საუკუნის დამდეგს შეხამებული იყო აღმოსავლური და ევროპული კულტურების ნიშნები, ჩამოყალიბდა ოსტატის ხელოვნება, რომელმაც შეისისხლხორცა ქართული შემოქმედებისა და ქალაქური ფოლკლორის ღრმა ტრადიციები. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს ახლანდელ ექსპოზიციაში წარმოდგენილი ასზე მეტი სურათი. ყოველი მათგანი სადა და ემოციური მოთხრობაა მშობლიური მხარის, მისი ადამიანებისა და ისტორიის შესახებ. მათ შორისაა „შოთა რუსთაველის პორტრეტი", ტილოები „ირაფი", „ირემი", „სამი თავადის ქეიფი".

გამოფენას წარმატებით ავსებს მიმდინარე საუკუნის დამდეგის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ფერადი კერამიკა, ხალიჩები, ეროვნული კოსტიუმები, ხისა და ლითონის ნაწარმი. ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ ფერმწერის თვისთავადი მხატვრული სტილის სათავეებს, კავშირს მის თანამედროვე სინამდვილესთან. საინტერესოა ფოტოსურათები, რომლებიც ადადგენენ ქართული დეკენების, სახელოსნოების განუმეორებელ ატმოსფეროს.

ექსპოზიცია შედგენილია აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში, აგრეთვე კერძო კოლექციებში შემავალი ნაწარმოებებისაგან.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატი — ფიროსმანის „ირემი".

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲩᲕᲓᲔᲑᲐ ᲜᲘᲙᲐᲚᲐᲡ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ კალენდარული ზაფხული... თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს უბრუნდებიან მოსწავლეები პიონერთა ბანაკებიდან, დასასვენებელი სახლებიდან, სოფლებიდან, რათა გაკაჟებულები ახალი ენერგიით მიუსხდნენ სკოლის მერხებს. თუ რა ღონისძიებებს ანხორციელებს სახელმწიფო ავტოინსპექცია რესპუბლიკაში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის პროპაგანდა-აგიტაციის ქვეგანყოფილების უფროსს **თ. ინასარიძეს** და რამდენიმე კითხვით მიმართა.

— რა სპეციალური ღონისძიებებია გაბმულნი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით?

— ამ პერიოდში, როგორც ყოველთვის ჩვენი რესპუბლიკის ისეთდა სავსე გზებზე ზედმეტად იგრძნობა ავტომანქანების მოზღვავება, ამიტომ რესპუბლიკის ავტოინსპექციის ხელმძღვანელობის ინიციატივით ვაწყობთ უსაფრთხო მოძრაობის დეკადას.

— რით არის გამოწვეული ეს ღონისძიება?

—საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყოველი წლის აგვისტოს მიწურულს, სხვა თვეებთან შედარებით, მატულობს ავტოავარიები და, რა თქმა უნდა, მისგან გამოწვეული მსხვერპლიც, მაგალითად, შარშან 20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ჩვენს რესპუბლიკაში 104 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის გამოც დაიღუპა 34 და დასახიჩრდა 151 კაცი. ფაქტები ნათელყოფს, რომ ამ პერიოდში რთულდება ავტოტრანსპორტის მოძრაობა და, ცხადია, მატულობს ავტოავარიები. სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით თბილისში იკრძნობა ავტომანქანების მოზღვავება: ჩამოდიან დამსვენებლები, სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდობა. ერთდროულად რესპუბლიკის მარტო საშუალო სკოლებში წავა 840 ათასი მოსწავლე, მათ შორის პირველკლასელია 77 ათასი, მათ მიემატება ბაგა-ბაღებისა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, პროფტექნიკური სასწავლებლების 69 ათასი მოსწავლე, უმაღლეს სასწავლებლებს და ტექნიკუმებს კი 100 ათასზე მეტი.

— განსაკუთრებით რომელი გზაა გადატვირთული?

— გორი-თბილისის მონაკვეთზე მოძრაობა ისედაც ინტენსიურია, მაგრამ ზაფხულში მდგომარეობა უფრო რთულდება. ამიტომ განსაკუთრებით ამ უბანზე და, რა თქმა უნდა, მისგან გამოწვეული მძიმე ავარია, და იმის ნიცვლად, რომ მძღოლს ცოლ-შვილისა და ახლო ნათესავებისთვის ეშველა, მიეხედა, იგი შემთხვევის ადგილიდან ლაჩრულად მიიმალა. მესამე დღეს შეძლეს რ. ტატულაშვილის დაპატიმრება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამჟამად მიმდინარეობს მასწავლებელთა აგვისტოს რაიონული კონფერენციები, მაში სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებიც მონაწილეობენ. იმედია, პედაგოგიური კოლექტივები, უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ ქუჩებში უსაფრთხო მოძრაობის წესების შესწავლას, სკოლის ახლომახლო ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებთან გამოყოფენ მასწავლებლებსა და მშობლებს სამორიგეოდ, უნდა ითქვას, რომ ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლა ბაგა-ბაღებიდან უნდა დაიწყოს, რათა ბავშვმა თავიდანვე შეისისხლხორცოს ქუჩაში უხიფათო მოძრაობის ჩვევები.

— დეკადასთან დაკავშირებით რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა განახორციელონ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა?

— ავტოინსპექციის თანამშრომლები ყველა ღონეს იხმარენ მოძრაობის წესების განუხრელი დაცვისათვის, გზებზე უსაფრთხო მოძრაობის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის. ამ მხრივ დეკადის პერიოდში როგორც რესპუბლიკის გზებზე, ისე ქალაქებსა და რაიონებში გაძლიერდა ზედამხედველობა პირადი შემადგენლობის მხრივ, სპეციალური ავტომანქანებით, გამოვიყენებთ ვერტმფრენებს, რომლებიც მაგისტრალებზე კონტროლს გაუწევენ მოძრაობას და გამოავლენენ უდისციპლინო მძღოლებს. მაგისტრალებზე, ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში გამოვაკრავთ პლაკატებს, რომლებიც მოუწოდებენ მოძრაობის მონაწილეებს სანიმუშო წესრიგისათვის.

სამმართველოს უფროსმა სპეციალური თათბირი ჩაატარა რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოში შემავალი ცალკეული ასეულის იმ ხელმძღვანელთა მონაწილეობით, რომლებიც საკავშირო და რესპუბლიკურ გზებს ემსახურებიან და მკაცრად გავაფრთხილეთ საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორები, რომ მძღოლების მიმართ უნდა იყვნენ უფრო თავაზიანნი, გულისხმიერნი, ეწეოდნენ პროფილაქტიკურ მუშაობას, ისიც თქვა, რომ უხეში დამრღვევი მძღოლების მიმართ მეტი სიმკაცრე და პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ. რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსებმა და მათმა დაქვემდებარებულმა ავტოინსპექციებმა განსაკუთრებით ამ დეკადაში უნდა გააძლიერონ მუშაობა გზებზე და გზაჯვარედინებზე სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

რაც შეეხება წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, გაძლიერებული კონტროლი უნდა გაუწიონ დაქვემდებარებულ სატრანსპორტო საშუალებებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ავტომანქანების ტექნიკურ გამართულობას, გრაფიკით დადგენილი მარშრუტით სწორ და დროულ მოძრაობას, ტრანსპორტელებს აქვთ ტერმინი „მარშრუტდან გადახვევა". ამ მოქმედებაში იგულისხმება უშრომელი შემოსავლის მოტრფიალე მძღოლების მიერ საზოგადოებრივ ჯიბეში ხელის ფათური, სახელმწიფოს ხარჯზე გამდიდრება. მათ მიმართ მუდამ დაუნდობელი ვიქნებით.

პირველი ზარი ხომ სწავლა-განათლებისათვის მოუხმობს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას. დაე, ეს ზარი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს მათთვის. უსაფრთხოების დეკადის მართლაც და უსაფრთხოდ დამთავრებას ვუსურვებთ მის ყველა მონაწილეს.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲚᲐ-ᲨᲔᲛᲝᲮᲚᲐ

წუნარი მეათე შეხვედრის შემდეგ მორიგი, მეთერთმეტე პარტია სულ სხვა „ტონალობით" წარიმართა. კარპოვი თეთრებით ყოველი მხრიდან უტრიალებს გრუნფელდის დაცვას, ცდილობს გასაღები მოარგოს მას. ამჯერადაც მსოფლიოს ექსჩემპიონმა ერთერთმა ვარიანტში ახალი, ძლიერი გაგრძელება მოამზადა, რომელიც ხარისხის შეწირვასთან იყო დაკავშირებული. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა გამოარკვია, რომ ეს ნამდვილი „დანაელთა საჩუქარი" იყო — შავების განლაგება მეტად სუსტდებოდა. ამიტომ კასპაროვმა არ მიიღო ძღვენი და სხვა გაგრძელება აირჩია, რომლის შედეგადაც ორივე მხარეს კომბინაციური შესაძლებლობები შეექმნა. მძაფრი შეხლა-შემოხლა კარგა ხანს გაგრძელდა, თუმცა რომელიმე მხარისათვის უპირატესობა არ მოუტანია. იყო მომეტები, როცა თეთრი ეტლი და მხედარი მეშვიდე ჰორიზონტალზე შეიკრნენ, მაგრამ კასპაროვი ზუსტად იცავდა თავს და გააუვნებლა თეთრების ინიციატივა. როცა დაძაბულობა დაფაზე დაცხრა, გამოიარკვა, რომ ერთგვარი უპირატესობა უკვე შავების მხარეზე იყო. ახლა უკვე კარპოვს მოუხდა უკიდურესად ზუსტად თამაში, რომ რაიმე ახალ უსიამოვნებას არ გადაჰყოლოდა, ამ ამოცანას მან თავი გაართვა კიდეც და ... ოცდაერთ ფელიერ-ყაიმი-ღილინში. ამასთან ეს ისეთი ყაიმი იყო, რომელმაც გულშემატკივრებს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მოუტანა. ზოგი სპეციალისტი პარტიას მატჩში საუკეთესოდაც კი მიიჩნევს.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 6:5 კასპაროვის სასარგებლოდ. გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ. მორიგი, მეთორმეტე პარტია, რომელშიც თეთრებით კასპაროვი ითამაშებს, დღეისათვის არის დანიშნული.

ᲗᲔᲗᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ — ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ

ᲒᲠᲘᲣᲜᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. d4 ᲤᲒ 2. c4 g6 3. ᲒᲒ3 d5 4. ᲒᲒ4 ᲒᲒ7 5. e3 c5 6. dc ᲚᲐ5 7. ᲒᲒ1 dc 8. ᲒᲒ4 0-0 9. ᲤᲒ3 Ლ:c5 10. ᲒᲑ3 ᲔᲒ6 11. 0-0 ᲚᲐ5 12. h3 ᲒᲒ5 13. ᲚᲔ2 ᲔᲒ4 14. ᲤᲓ5 e5 15. Გ:e6 ef 16. ᲓᲒ7 ᲔᲒ6 17. ᲚᲔ1 ᲚᲑ5 18. ᲤᲔ7+ ᲤᲒᲰ8 19. Გ:e6 fe 20. ᲚᲑ1 ᲤᲒ5 21. ᲤᲰ4 Ფ:h8+ 22. ᲤᲒᲰ2 ᲚᲰ5 23. ᲤᲔ:g6+ hg 24. Ლ:g6 ᲚᲔ5 25. ᲒᲒ7 Გ:Გ7 26. Ł:Გ7 ᲤᲒ5 27. ᲤᲔ6+ ᲤᲒᲰ7 28. ᲤᲔ5 ᲤᲒ7 29. ᲤᲒ7 ᲤᲒᲔ6 30. ᲤᲓ6 fe 31. ᲒᲒ4 ef 32. Გ:Გ2 b5 33. ᲤᲔ3 a5 34. ᲤᲒᲔ3 a4 35. ᲓᲒ2 ᲒᲒ8 36. ᲤᲒᲔ4 ᲒᲓ4 37. ᲓᲔ2 ᲒᲔ8 38. ᲒᲔ3 ᲒᲒ2 39. b3 ᲒᲒ2+ 40. ᲤᲒᲔ3 ᲒᲐ2 41. ba ᲧᲐᲜᲘ.

Ბ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲒᲐᲫᲚᲝᲜᲘᲠᲓᲔᲗ, ᲒᲐᲕᲐᲯᲐᲜᲚᲐᲓᲔᲗ, ᲒᲐᲕᲛᲐᲒᲠᲓᲔᲗ!

ᲡᲘᲛᲦᲜᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

...ᲓᲝᲚᲘᲡᲐ და ზურნის ხმები მოედო მთელ არემარეს.. დაფაზურნა ყველა ქუჩაში დადიოდა, ყოველ ეზოში „იქყიტებოდა". მუსიკა ყველას უხმობდა სოფლის ცენტრისაკენ, ტრადიციული საჯიდაო ადგილისაკენ. რამდენიმე საათს გაგრძელდა ფიცხელი შერკინებანი. ორთაბრძოლებში, როგორც წესი, მონაწილეობდა ყველა მსურველი, ჭაღარით მოსილი ხანდაზმულებით დაწყებული და ბავშვებით დამთავრებული. მაღლიერი მაყურებელიც ჯეროვნად აფასებდა ტურნირის თითოეული მონაწილის ოსტატობას, რომელიც ჭიდაობის ყველა კანონის მიხედვით მოეწყო.

ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ამგვარი სურათი ჩვეულებრივი ამბავი იყო წყნეთისათვის. აბა, რა სასოფლო დღესასწაული იქნებოდა ან რომელი კვირა დღე ჩაივლიდა ისე, რომ ჭიდაობა არ გამართულიყო.

— ადამიანები მოუთმენლად მოდიოდნენ ძალაში, სიჩუქენში თავის საცდელად, — სიამაყით იგონებს 74 წლის არსენ ოძელაშვილი, ძველი თაობის ფალავანი. — აქ მუდამ პატიოსანი სპორტული მეტოქეობის, ვაჟკაცობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილმოსურნეობის სულისკვეთება სუფევდა. — ვინ არ ამოსულა ჩვენთან ძალის გამოსაცდელად — მოდიოდნენ თბილისიდან და კასპიდან, მცხეთიდან და გორიდან, რუსთავიდან და მარტყოფიდან... ჭიდაობამ ბევრი დაამეგობრა.

ქართული ჭიდაობა ამ ადგილებში მუდამ ნომერი პირველი სპორტი იყო. წყნეთელ ფალავნებს დიდი რეპუტაცია ჰქონდათ რესპუბლიკაში. ნაკლებად პოპულარული არა ყოფილა ახალგაზრდობაში ფეხბურთიც. საჭიდაო არენის გვერდით იყო ჩინებული მოედანი. ადგილობრივი გუნდი ხშირად ხვდებოდა ვერელ და საბურთალელებს, ვაკელ და მთაწმინდელ ჭაბუკებს. უნდა გენახათ, რამდენი მაყურებელი ესწრებოდა ხოლმე!

მაგრამ ყოველივე ეს წარსულში იყო. წყნეთი გაიზარდა, გარდაიქმნა, გალამაზდა. ადამიანები ქალაქის პირობებთან მიახლოებულ პირობებში ცხოვრობენ. მაგრამ მათი აქტიური დასვენება აქ როგორღაც დაივიწყეს. თავდაპირველად სტადიონი გაქრა, შემდეგ საჭიდაო არენა.

— წყნეთში ახლა დაახლოებით ათი ათასი მცხოვრებია. მათგან ნახევარი თითქმის ახალგაზრდობა, მოზარდები, ბავშვები არიან. საკურორტო სეზონის დროს კი მცხოვრებთა რიცხვი რამდენჯერმე იზრდება. და ენთუზიასტებმა გადაწყვიტეს თავიანთი ძალებით აეშენებინათ სტადიონი, შეექმნათ ფეხბურთელთა გუნდი.

მაგრამ ახალგაზრდობას ნამდვილი სპორტული კომპლექსი ენატრებოდა, რომელიც ძირფესვიანად შეცვლიდა თანასოფელთა ცხოვრებას. აქტივისტებმა დახმარება და მხარდაჭერა სთხოვეს შესაბამის ინსტანციებს. დიდხანს ცდა არ მოუწიათ.

გაჩაღდა მუშაობა, რომელშიც საგზაო მეურნეობის № 3 სამმართველოს საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის სამმართველოს სპეცრემმშენკანტორის, საქართველოს სსრ სპორტსახკომის „საქსპორტრემმშენის" სამმართველოს სამშენებლო კოლექტივებთან ერთად შრომობდნენ სოფლის ახალგაზრდობა-ც და დამსვენებლებიც. დიდი დახმ